სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/15

(ოქმი N9)

ქ. ბათუმი 11 ივნისი 2018წ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს წევრების ჰონორარის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35^4 მუხლისმესამე პუნქტის თანახმად:

1. მიმდინარე 2018 წლის განმავლობაში სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს წევრთა (მრჩევლები) დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად საჭირო ხარჯების ოდენობა განისაზღვროს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-სათვისბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის3%-ის ფარგლებში, რაც შეადგენს 236 370ლარს, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლების გადასახდელებიდან 3%-ის ფარგლებში 5100 ლარს.,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35^4 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად ჰონორარისათვის გამოყოფილი თანხა არ უნდა აღემატებოდესბიუჯეტის 2%-ს, შესაბამისად სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს წევრთა (მრჩევლები) ჰონორარისათვის გამოყოფილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 160 980ლარს.

2. განისაზღვროს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს წევრთა ჰონორარის ოდენობა და დამტკიცდეს დანართი N1 შესაბამისად.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის 18 იანვრის N01-01/01 (ოქმიN1) გადაწყვეტილება, მრჩეველთა საბჭოს წევრთა ჰონორარის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

4. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე ,,ajaratv.ge''.

5. გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2018 წლის 01 ივლისიდან.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მ/შ

რუსუდან (ნატა) იმედაიშვილი

დანართი N1

N	თანამდებობა	საშტატო ერთეული	შრომის ანაზღაურება (ჰონორარი)	სულ
1	თავმჯდომარე	1	2900,00	2900,00
2	მოადგილე	1	2700,00	2700,00
3	მრჩეველი	3	2625,00	7875,00
სულ		**5**	**8225,00**	**13475,00**

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს მრჩეველთა საბჭოს საშტატო განრიგი ამოქმედდეს 2018 წლის 01 ივლისიდან